მანანა გელაშვილი
ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
manana.gelasgvili.tsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2023.08.16

ვირჯინია ვულფი და ფემინიზმი

ვირჯინია ვულფის მოღვაწეობა იმ დროს დაემთხვა, როდესაც მსოფლიო უდიდეს სოციალურ და პოლიტიკურ ძვრებს განიცდიდა. შესაბამისად იცვლებოდა ადამიანის შინაგანი სამყარო და ეს ცვლილებები შეუძლებელი იყო ხელოვნებასა და ლიტერატურას არ აესახა. ,,დაახლოებით 1910 წლის დეკემბერში ადამიანის ბუნება შეიცვალა'' – წერდა ვირჯინია ვულფი ესეში ,,მისტერ ბენეტი და მისის ბრაუნი" - ,,ადამიანთა შორის ურთიერთობები შეიცვალა – ურთიერთობა ბატონსა და მსახურსა, ცოლსა და ქმარს, მშობლებსა და შვილებს შორის. ხოლო როცა ადამიანებს შორის ურთიერთობები იცვლება ამავდროულად ცვლილებებია რელიგიაში, ქცევასა, პოლიტიკასა და ლიტერატურაში"[1]. (ვულფი 1924: 5)

ამ ჩანაწერიდან კარგად ჩანს, რომ ცვლილებები შეეხო ყველაფერს და მათ შორის ქალის მდგომარეობასა და მის ადგილს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომ, ბუნებრივია, რომ სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა ფემინიზმის პირველი ტალღა, რომლის მთავარი საზრუნავი ქალებისათვის თანაბარი სამოქალაქო უფლებებისა და არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების მოპოვება იყო.

ვულფი აქტიურად იყო ჩართული ქალის უფლებებისათვის ბრძოლაში: ატარებდა საჯარო ლექციებს, რომლებიც შემდეგ ესეების სახით გამოქვეყნდა. დღეს ვულფის ეს ესეები - ,,საკუთარი ოთახი'' (1929), ,,პროფესია ქალებისთვის''(1930), ,,სამი გინეა''(1938) - ფემინისტურ ტექსტებად ითვლება. ამასთანავე, ვულფი ერთერთი პირველი ავტორია, რომელმაც დიდი ოსტატობით შეძლო ქალის შინაგანი სამყაროს ასახვა და ქალის თვალით დანახული სამყაროს გადმოცემა. მის მიერ დახატული პერსონაჟები: მისის დელეოუეი, მისის რემზი, ლილი ბრისკო, ისევე როგორც ესეებში შექმნილი პერსონაჟი შექსპირის არარსებული დის ჯუდითის სახით, დაუვიწყარი სახეებია. ვულფი ასევე დიდ ყურადღებას აქცევდა ქალი მწერლების შემოქმედების ანალიზს და არაერთი ესე აქვს დაწერილი მისი წინამორბედების ემილი და შარლოტ ბრონტეების, ჯორჯ ელიოტის და განსაკუთრებით ჯეინ ოსტინის შესახებ, რომელიც ვულფის აზრით თანამედროვე ფსიქოლოგიური რომანის სათავეებთან იდგა.

მიუხედავად იმისა, რომ ვულფის შემოქმედება იმ აზრით არის გამსჭვალული, რომ ქალს მამაკაცის თანაბარი უფლებები უნდა ქონდეს სწავლის, განვითარებისა და პროფესიული საქმიანობის, მისი დამოკიდებულება ფემინიზმის მიმართ საკმაოდ რთულია და როგორც ანალიზის დროს შევეცდებით ვაჩვენოთ მისი გარკვეულ კლიშეებში მოქცევა ძალიან ჭირს.

ვულფის ოჯახური წრე და აღზრდა დიდად განსხვავდებოდა რიგითი ბრიტანელის შესაძლებლობებისგან. ვულფის მამა სერ ლესლი სტივენი ცნობილი ლიტერატორი იყო, მთასვლელი და ფილოსოფოსი. იგი ეროვნული ბიოგრაფიულ ლექსიკონს რედაქტორობდა და მრავალი ბიოგრაფიული, ლიტერატურული და ფილოსოფიური ნაშრომი ეკუთვნის. თავისი მოღვაწეობისათვის ლესლი სტივენს რაინდის ტიტული მიენიჭა. ვულფი თავისი დროის

[1] ციტატების თარგმანი სტატიის ავტორს ეკუთვნის.

ცნობილი ადამიანების წრეში გაიზარდა, რომელთა შორის იყვნენ პრე-რაფაელიტი მხატვრები ჰოლმან ჰანტი და ედვარდ ბერნ-ჯონსი (ამ უკანასკნელის ერთერთ ნახატზე ვირჯინიას დედაა ასახული), პოეტი-ლაურეატი ალფრედ ტენისონი, ცნობილი მსახიობი ელენ ტერი, რომანისტი და პოეტი ჯორჯ მერედიტი, ამერიკელი მწერალი ჰენრი ჯეიმსი და პოეტი ჯეიმზ რასელ ლოუელი.

ვირჯინიას ბებიის და ჯულიან მარგარეტ კემერონი (1815 – 1879) ერთ-ერთი პირველი ფოტოგრაფ ქალად ითვლება, მრავალშვილიანი დედა და დიპლომატის მეუღლე, ფოტოგრაფიის გარიჟრაჟზე. ის პირველი ქალი იყო ლონდონის ფოტოგრაფების ასოციაციაში.

ასეთ წრეში ქალის უფლებების დაცვაზე თითქოს არ უნდა ყოფილიყო საჭირო, თუმცა წლების შემდეგ ვულფი მწარედ შენიშნავს, რომ ელიტარულ, ინტელექტუალურ ოჯახებში გაზრდილ ქალებსაც კი, რომელთაც ,,განათლებული მამები ყავთ'' ('the daughters of educated men') იჩაგრებოდნენ და ამ ,,განათლებულ მამებს'' არ მიაჩნიათ საჭიროდ ქალიშვილისათვის განათლების მიცემა. მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ ვულფის ძმებმა კემბრიჯში მიიღეს განათლება, თავად ვირჯინიას და მისი დის ვანესას, რომელიც შემდგომში მხატვარი გახდა, განათლების ძირითადი წყარო მამის ბიბლიოთეკა იყო. თუმცა, შესაძლოა, შინ მიღებულმა განათლებამ უკეთესი შედეგი გამოიღო (ვულფის ნაკითხობა და ფართე ცოდნა, რომელიც განსაკუთრებით ჩანს მის მრავალრიცხოვან ესეებში, მხოლოდ აღტაცებასა და გაოცებას იწვევს). კემბრიჯში კი ვულფს ქალთა კოლეჯში მოუწევდა სწავლა, რომლის დონე, როგორც ვულფი გულისტკივილით წერს ,,საკუთარ ოთახში'' ბევრად განსხვავდებოდა კაცების კოლეჯში მიღებული განათლების დონისაგან.

ვულფის სადებიუტო რომანს, ,,მოგზაურობა'' (*The Voyage Out*, 1915) მეტნაკლებად ტრადიციული კონვენციური რომანის ფორმა აქვს, მაგრამ მასში მოთხრობილი ამბავი - ქალი პროტაგონისტის შორეული მოგზაურობა, რომელიც არა მხოლოდ ამერიკაში გამგზავრების ისტორიაა, არამედ ამასთანავე და უპირატესად საკუთარი თავის ძიება. ,,მოგზაურობა'' პირველი რომანია, სადაც მაძიებელი გმირი ქალია, რომლის შინაგანი სამყაროს და შთაბეჭდილებების მრავალფეროვნება მკითხველს არწმუნებს, რომ ქალიც შეიძლება იყოს მაძიებელი გმირი, ხოლო მისი თვალით დანახული სამყარო ისეთივე ღრმა და საინტერესო, როგორც მამაკაცის.

როგორც აღვნიშნეთ, ვულფის პირველი რომანი ტრადიციული წერის ტექნიკით ხასიათდება. თუმც, შემდგომ ნაწარმოებებში ,,მისის დელოუეი'' (*Mrs. Dalloway*, 1925) ,,შუქურისკენ'' (*To the Lighthouse*, 1927), ,,ორლანდო'' (*Orlando*, 1928) და ,,ტალღები'' (*The Waves*, 1931) ვულფის წერის ტექნიკა იცვლება. ვულფი არა მარტო თავის თემატიკას პოულობს, არამედ ფორმასაც, რომლითაც ამ სათქმელის გამოხატვა ყველაზე სრულად შეიძლება.

წერის ტექნიკის ცვლილების აუცილებლობაზე ვულფი ბევრს წერდა. ამ საკითხს ეძღვნება მისი ცნობილი ესე ,,თანამედროვე პროზა'', სადაც მან ძალიან ზუსტად და მკაფიოდ ჩამოაყალიბა, როგორ წარმოუდგენია ახალი რომანი, რომელიც ადამიანის შინაგანი სამყაროს, მისი ფსიქოლოგიის გადმოცემას უნდა ანიჭებდეს პრიორიტეტს: ,,წარმოვიდგინოთ ერთი წუთით ჩვეულებრივი ადამიანის გონება ერთ ჩვეულებრივ დღეს. გონება მირიად შთაბეჭდილებას იღებს – ტრივიალურს, ფანტასტიკურს, წარმავალს ან ფოლადივით მტკიცედ აღბეჭდილს. ყოველი მხრიდან მოდიან ეს შთაბეჭდილებები, უთვალავ ატომთა უწყვეტი ნაკადი.'' (ვულფი www). ვულფის აზრით, რომანის დანიშნულება სწორედ ის არის, რომ

აღნუსხოს ეს შთაბეჭდილებები, რომლებიც ადამიანის გონებას ,,აწვიმს'' რომელიმე ორშაბათს ან სამშაბათს.

ვულფის ბევრ ესეში წერის ტექნიკა და გენდერული პრობლემა ერთმანეთს უკავშირდება. მისი აზრით, პატრიარქალური საზოგადოების წესები კაცებმა შექმნეს და ლიტერატურაც, ბუნებრივია, რომ ამ წესებით აიგებოდა. ქალებისთვის არავის უკითხავს, თუ რამდენად მისაღები იყო მათთვის ეს ღირებულებები ან თხრობის ის მანერა, რომელიც დამკვიდრებულია ამიტომ, ვულფის აზრით, ქალების ნარატივმა შეიძლება სრულიად ფორმა მიიღოს და სხვა კუთხიდან შეხედოს ყველაფერს. ესეში ,,საკუთარი ოთახი'' ვულფი ასე ახასიათებს მისი გამოგონილი პერსონაჟის მერი კარმაიკლის თხრობის მანერას: ,,იგი მკითხველს ეთამაშება, ხან წინადადებას დაშლის, ხან თანმიმდევრობას აურევს... '' ამ აღწერაში ვულფი ფაქტობრივად მოდერნისტულ წერის ტექნიკას ახასიათებს, რომელმაც კონვენციური რომანის მოწესრიგებული არქიტექტონიკა დაარღვია

ვულფს მიაჩნია, რომ რომანი ის ჟანრია, სადაც მწერალი ქალების მოღვაწეობა ყველაზე უფრო სასურველია, რადგან რომანი ჯერ კიდევ ფორმირების სტადიაშია, ნაკლები ტრადიცია აქვს და ამიტომ ნაკლებ პატრიარქალურია, ვიდრე სხვა ჟანრები. ამ თვალსაზრისით ვულფს ერთერთ ყველაზე საინტერესო ავტორად დოროთი რიჩარდსონი მიაჩნია. დღეს რიჩარდსონის ღვაწლად ინგლისური ლიტერატურაში კონვენციური რომანისა მარწუხებისაგან თავის დაღწევა, პიროვნების ფსიქოლოგიაში ჩაღრმავება და ამისათვის ახალი სამწერლო ხერხების გამოყენება ითვლება. მაგრამ თავის დროზე, 20-იან წლებში, სწორედ ვულფი იყო პირველი, რომელმაც შენიშნა, რომ რიჩარდსონმა ,,გამოიგონა... წინადადება, რომელსაც შეიძლება ფსიქოლოგიური ვუწოდოთ.'' ,,ეს ქალის წინადადებაა, იმ თვალსაზრისით, რომ იგი ქალის გონებას აღწერს და ავტორი არც ამაყობს და არც ეშინია იმის, რაც შიძლება საკუთარ სქესში აღმოაჩინოს. '' ("has invented, ... a sentence which we might call the psychological sentence.'' ''It is a woman's sentence, but only in the sense that it is used to describe a woman's mind by a writer who is neither proud nor afraid of anything that she may discover in the psychology of her sex.'') (ვულფი 1979: 21)

მეორე მწერალი ქალი, რომელშიც ვულფი წინამორბედს ეძიებს ჯეინ ოსტინია, რომლის შემოქმედების ანალიზსაც ვულფი ორ ესეს უძღვნის. მისი აზრით ოსტინის შემოქმედებითი განვითარება და პროფესიული ზრდა უპირველესად იმაში გამოიხატა, რომ ოსტინი გმირების ხატვისას სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს არა დიალოგს, არამედ იმას რაც დიალოგს მიღმა დარჩა. სწორედ ამგვარი მინიშნებებით, ბოლომდე ართქმის მეთოდით ოსტინი ყველაზე კარგად გადმოსცემს გმირის ფსიქოლოგიას, ადამიანის რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე ბუნებას: ,,ოსტინს რომ დასცლოდა იგი უთუოდ მიაგნებდა მეთოდს, რომლითაც იგი არა მხოლოდ იმას გადმოგვცემდა რომანში თუ რაზე ლაპარაკობენ მისი გმირები, არამედ იმასაც, რაზეც არ ლაპარაკობენ''- წერს ვულფი და მიიჩნევს, რომ ოსტინის ადრეული გარდაცვალება რომ არა, იგი შეიძლება ჰენრი ჯეიმზისა და პრუსტის წინამორბედი ყოფილიყო.

ვულფი ხაზს უსვამს, რომ მწერალი ქალები უმეტესად არჩევენ ანონიმურად ეწერათ. როგორც ეს შარლოტ ბრონტემ გააკეთა, როდესაც ,,ჯეინ ეარი'' კურერ ბელის (Currer Bell) ფსევდონიმით გამოქვეყნა. (ასევე მამრობით სახელებს ელისსა და აქტონს მიმართეს მისმა დებმა ემილი და ენ ბრონტეებმა), ასე იმალებოდა ჯორჯ ელიოტის ფსევდონიმის ქვეშ მერი ენ ივენსი, ხოლო ჟორჟ სანდის ფსევდონიმით აქვეყნებდა ნაწარმოებებს ფრანგი მწერალი ქალი ავრორა დუპენი. მწერალი ქალები ხშირად კაცის ფსევდონიმით წერდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ ასე უფრო რეალური იყო წარმატების მიღწევა.

ქალის ანონიმურობის პრობლემა, რაზეც ვულფი წერს ესეებში, ჩანს მის რომანებშიც, განსაკუთრებით რომანში ,,მისის დელოუეი'', რომლის მთავარი გმირი ერთი შეხედვით მაღალი წრის, პარლამენტარზე გათხოვილი ფუქსავატი ქალბატონია, რომელსაც პრესტიჟული წვეულებების მოწყობის მეტი არაფერი ადარდებს. თუმცა, ზედაპირის მიღმა ვულფი ღრმა და საინტერესო ქალის პორტრეტს ხატავს, რომელსაც მდიდარი შინაგანი სამყარო აქვს, რასაც კიდევ უფრო ამყარებს ამ პერსონაჟისა და სეპტიმუს სმიტის ერთი მედლის ორ მხარედ წარმოდგენა და ამით ორივე პერსონაჟის სულიერი სიახლოვისა და ტრაგიზმის აქცენტირება.

ახალგაზრდობაში კლარისა პლატონს კითხულობდა, უილიამ მორისით და შელით იყო გატაცებული. ის და მისი მეგობარი სალი ფიქრობდნენ, რომ სამყაროს შეცვლიდნენ. ფრაზა ''ჩვენ სამყარო უნდა შეგვეცვალა'' ახალგაზრდა ვულფის დღიურებშიც გვხვდება და ამდენად ვულფის განწყობასაც გამოხატავს, რომელსაც თავის დასთან და მეუღლესთან ერთად ფიქრობდა, რომ ბლუმსბერის ჯგუფის შექმნითა და სტამბის დაარსებით ინგლისურ სინამდვილეში სიახლის დანერგვას შეუწყობდა ხელს.

ვულფისაგან განსხვავებით, კლარისას და მისი მეგობრის სელი სეტონის ოცნება სამყარო შეეცვალათ, ოცნებად დარჩა. პირიქით, ცხოვრებამ ორივე შეცვალა. კლარისას ,,უცნაური შეგრძნება ქონდა თითქოს **უჩინარი, უხილავი** იყო. (ხაზგასმა ჩემია მ.გ.)... მისის დელოუეი იყო, თითქოს კლარისა აღარ იყო; მისის რეჩარდ დელოუეი იყო'' (“She had the oddest sense of being herself invisible, unseen.... being Mrs. Dalloway; not even Clarissa any more; this being Mrs. Richard Dalloway”).

რომანის ფინალში კი ვულფის ერთერთი ყველაზე მეამბოხე გმირის სალი სეტონის გამოჩენა, რომელსაც უდიდესი ტრანსფორმაცია განუცდია და ცხოვრებით კმაყოფილი კონფორმისტი გამხდარა - ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს ვულფის მოსაზრებას, რომ პიროვნული იდენტობის და ახალგაზრდული მისწრაფებებისა და იდეალიზმის შენარჩუნება, ქალისთვის პრაქტიკულად შეუძლებელია.

პატრიარქალურ საზოგადოებაში ქალის ფუნქცია არ არის პიროვნებად შედგეს, არამედ იყოს მამაკაცის შთაგონების წყარო, ოჯახის მფარველი ანგელოზი და ა. შ.

ამიტომ უთმობს ვულფი ამდენ ყურადღებას ესეში ,,პროფესია ქალებისთვის'' (“Professions for Women”, 1931) იმ კლიშეს დამსხვრევას, რომელსაც ,,ოჯახის ანგელოზი'' (‘the Angel in the House’)[2] ეწოდება. მისი აზრით, ერთერთი უმთავრესი დანიშნულება, როგორც მწერლის, ,,ოჯახის ანგელოზის'' მოკვლა იყო, რადგან ამის გარეშე საზოგადოება ვერ წარმოიდგენს, რომ ქალს შეიძლება საკუთარი აზრები და შეხედულებები ქონდეს და წიგნს წერდეს, ხატავდეს ან სხვის დაწერილ წიგნს აანალიზებდეს.

,,სამ გინეაში'' ვულფი ისევ უბრუნდება ამ თემას და მსჯელობს იმაზე, თუ როგორი უარყოფითი როლი ითამაშა ქალის განვითარებაში ისეთმა ცნებებმა, როგორიც ქალის უმანკოება და კდემამოსილება იყო. ,,უმწიკვლობის სახელით ქალს ეკრძალებოდა მედიცინის შესწავლა, შიშველი მოდელიდან ხატვა; შექსპირის წაკითხვა; ორკესტრში დაკვრა.''

მიუხედად ვულფის ამგვარი განაცხადისა ,,მარად ქალური'', რომელიც ლიტერატურასა და ხელოვნებაში გამჭოლი თემაა ვულფთანაც გვხვდება და საინტერესო სახეს იღებს ერთერთი პერსონაჟის მისის რემზის სახით, რომანში ,, შუქურისკენ’. როგორც წესი მარად

[2] ფრაზა აღებულია ნაკლებადცნობილი პოეტის ქოვენტრი პეტმორის ლექსიდან ,,სახლის ანგელოზი'', სადაც ავტორი ხატავს ქალს, როგორც ოჯახზე გადამკვდარ არსებას, რომლის ერთადერთი ფუნქცია იყო ქმრის უსიტყვო მორჩილება და სახლის საქმის კეთება.

ქალური ხატი, ქალის მშვენებას, იდუმალებას, მომხიბვლელობას და ყოვლისმომცველ სიყვარულსა, ზრუნვასა და მიმტევებლობას უსვამს ხაზს. თვისებები, რომელიც მართლაც უზომოდ მიმზიდველია და იმდენად იშვიათი, რომ არ შეიძლება კითხვა არ გაჩნდეს, როგორ და რატომ უნდა ცდილობდეს მწერალი მასში საფრთხეს, რომ არა ის, რომ მასში ქალი როგორც პიროვნება იკარგება. ამ თვალსაზრისით ,,შუქურისკენ'' საინტერესო მასალას იძლევა, რადგან ერთდა და იმავე დროს მისის რემზი ,,მარადიული ქალურობის'', ,,ოჯახის ანგელოზის'', ,,დედის'' სიმბოლოცაა და ამავდროულად საინტერესო პიროვნებაც.

თუმც ეს საინტერესო პიროვნება - მისის რემზი - ნამდვილად არ ჯდება ემანსიპირებული ქალის ჩარჩოებში - პირიქით ერთი შეხედვით ვიქტორიანული ეპოქის იდეალიზირებული ქალია, მრავალშვილიანი, უზომოდ მომხიბლავი, მზრუნველი მეუღლე და დედა, ნაცნობ-მეგობრებსა და გაჭირვებულ ადამიანებზე მზრუნველი. რაც კიდევ უფრო საინტერესოა, ამავე რომანში, მისის რემზის გვერდით ვულფი ხატავს სრულიად განსხვავებული ტიპის მოქმედ პირს ლილი ბრისკოს, რომელიც მხატვარია. ვულფი იმასაც გვაჩვენებს, რაოდენ რთულია ლილი ბრისკოს მდგომარეობა, რომელსაც არაერთხელ გაკენწლავენ, რომ ,,ქალებს წერა არ შეუძლიათ'', ,,ქალებს ხატვა არ შეუძლიათ''. ასეთ არა კეთილგანწყობილ სამყაროში უნდა შედგეს ლილი ბრისკო, როგორც შემოქმედი, რასაც იგი ახერხებს კიდეც. ნაწარმოების ბოლოს, როდესაც ბოლოს და ბოლოს დაასრულებს მრავალი წლის წინ დაწყებულ სურათს.

ერთი შეხედვით, ლილი ბრისკო და მისის რემზი ანტიპოდები არიან. ლილი ემანსიპირებული ქალია, რომელიც თვითდამკვიდრებისათვის იბრძვის და აღწევს კიდეც. მისის რემზისთვის კი ყველაზე მნიშვნელოვანი მისი ოჯახი და მის გარშემო ადამიანებზე ზრუნვაა. მას ღრმად სწამს, რომ გაუთხოვარ ქალს სიცოცხლის საუკეთესო ნაწილი დაუკარგავს (“an unmarried woman has missed the best of life,”) ამიტომ ლილიც სურს ვინმეზე გაათხოვოს. ხოლო მის ნახატებს საერთოდ არ აღიქვამს სერიოზულად.

გაოცებას იწვევს, რომ ფემინისტ ავტორი რომანის მთავარ მოქმედ პირად და თანაც ისეთ მოქმედ პირად, რომელიც ყველა გარშემო მყოფის, მათ შორის ემანსიპირებული ლილის აღტაცების საგანია (ცნობილია, რომ მისის რემზის პროტოტიპს ვულფის დედა წარმოადგენდა), ისეთი პერსონაჟი გამოყავს, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ ,,მარადქალურის'' სიმბოლოდ გამოდგება. ლილი ბრისკო კი მკითხველში უფრო თანაგრძნობას იწვევს, მისი შეუპოვრობისა და სირთულეების გამო, ვიდრე აღტაცებას. უფრო მეტიც, როცა ვულფი რადიკალ ემანსიპირებულ ქალს ხატავს, როგორც ეს მის კილმანია, (,,მისის დელოუეი''), ეს პერსონაჟი მკითხველში აშკარა ანტიპათიას აღძრავს.

აღსანიშნავია ისიც, რომ თავისი ცხოვრების მანძილზე ვულფი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო მისთვის ფემინისტი ეწოდებინათ და მიუღებლად მიაჩნდა ტერმინი ,,ქალთა ემანსიპაცია''. ხოლო ,,სამ გინეაში'', სადაც ვულფი პატრიარქალურ საზოგადოებას ებრძვის ფაშიზმის გაჩენის სათავედ პატრიარქალურ ნორმებს მიიჩნევს ხოლო პაციფიზმსა და ფემინიზმს ერთმანეთთან აკავშირებს და ქალთა უფლებებს იცავს, ამასთანავე კატეგორიულად წერს, რომ სიტყვა ,,ფემინიზმი უნდა მოისპოს'' (,,the word feminist should be destroyed.), რადგან მას დაპირისპირებისა და გათიშვის მეტი არაფერი მოაქვს.

ამგვარი წინააღმდეგობრივი გამონათქვამები უხვად მოიძებნება ვულფის შემოქმედებაში და სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მისი პოზიცია ამ საკითხზე ბუნდოვანი და მერყევია. ვულფის მთელი ცხოვრება და შემოქმედება იმას ადასტურებს, რომ მას სჯერა ქალის შესაძლებლობების, მიაჩნია, რომ ქალს უნდა ქონდეს განვითარების, განათლების მიღებისა და

თვითგამოხატვის ისეთივე უფლება, როგორიც მამაკაცს აქვს. თუმცა მისი ლიბერალიზმისა და ჰუმანიზმისათვის მიუღებელია ფემინიზმის აგრესიული, რადიკალური გამოვლინებები. ხოლო ადამიანის ბუნებისა და ფსიქოლოგიის ღრმა წვდომით ვულფი ქალთა მრავალფეროვან გალერეას ქმნის და არ ეშინია არც პიროვნულად საინტერესო მეოჯახე, ვიქტორიანელი ქალი დახატოს, არც ისეთი ქალი, რომელსაც ახალგაზრდული ოცნებები შემოსძარცვია; არც ემანსიპირებული ქალი, რომელთაგან ზოგი სულაც არ იმსახურებს მკითხველის სიმპათიას და არც შექსპირის გამოგონილი და, რომელსაც ერთი სტრიქონიც არ დაუწერია, თუმც ძმაზე არანაკლებ ნიჭიერი იყო, რადგან პატრიარქალურ სამყაროში მისთვის ადგილი არ აღმოჩნდა. მთელი ამ მრავალფეროვნებით კი აშკარად დაგვანახოს, რომ ქალსაც ისეთივე მდიდარი შინაგანი სამყარო აქვს, რომელიც იმსახურებს თვითგამოხატვის უფლებას.

ლიტერატურა:

1. **ვულფი 1924:** Mr. Bennett and Mrs. Brown. Published by The Hogarth Press, London, 1924
2. **ვულფი 1980:** The Diary of Virginia Woolf, Vol. 2: 1920-1924, Edited by Anne Olivier Bell, assisted by Andrew McNeillie, Harcourt Brace, 1980
3. **ვულფი www:** Woolf Virginia, The Common Reader. The University of Adelaide Library, University of Adelaide, https://ebooks.adelaide.edu.au/w/woolf/virginia/w91c/index.html
4. *ვულფი: 1923 Romance and the Heart,* ***From The Nation and the Athenaeum, May 19, 1923*** ***http://xroads.virginia.edu/~CLASS/workshop97/gribbin/romance.html***
5. **ვულფი 1979**: Virginia Woolf's review of Revolving Lights. The Nation and the Athenaeum, 19 May 1923; reprinted. in V. Woolf, Women and writing, ed., M. Barrett, 1979 http://gutenberg.net.au/ebooks02/0200931h.html

Manana Gelashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

Virginia Woolf and Feminism

Abstract

A Room of One's Own' (1929) by Virginia Woolf is considered as one of the first feminist texts. In fact, gender problems are raised in nearly all her works whether it is his novels or numerous essays. Woolf's attempt to claim equal rights for education, her attempt to 'kill the angel of the house' and give analyses of the works of women writers (The Brontë sisters, Jane Austin, Dorothy Richardson) to show that a woman-writer is capable of creating a worthwhile work of art, all represent her as an ardent fighter for woman's rights.

The articles gives analyses of these different facets of Woolf's feminism in order to show that although her liberal ideas and humanist worldview strongly felt the injustice of the patriarchal society, she also well noticed the faults of the radical feminism.